ახალი
# სხივი
საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ხუთშაბათი, 18 მარტი 1910 წ. № 36

გაზეთი „ახალი სხივი“ ღირს როგორც თფილისში ისე თფილისს გარეთ ე რ თ ი წ ლ ი თ 7 მან. ნახევარი წლით 4 მან. წლიურათ: თფილისში 80 კაპ. თფილისს გარეთ 90 კ. სამი თვით თფილისში 2 მ. 20 კ., თფილისს გარეთ 2 მ. 50 კაპ. საზღვარ გარეთ—ორჯერ მეტი იმაზე, რამდენიც თფილისში ღირს.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ე ბ ი ს ფ ა ს ი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით—15 კაპ. უკანასკნელზე—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს 4 საათამდე 3 მან. 4 საათის შემდეგ—მეტი. გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველი რიცხვიდან.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპოდენციები არ ინახება და მათ შესახებ რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას არ კისრულობს. ერთი თვით ინახება მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილობით პასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები, ადრესის გამოცვლა თფილისიდან თფილისს გარეთ ღირს 80 კაპ. სხვაგან—40 კაპ. ცალკე ნომერი ღირს ყველგან ე რ თ ი შ ა უ რ ი. რედაქციის ადრესი: თფილისი, ვანქის ქუჩა

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ახალი სხივი“

მიიღება ხელის მოწერა 1910 წლისათვის

გ ა ზ ე თ ი ღ ი რ ს: თფილისსა და თფილისს გარეთ ერთი წლით 7 მ., ნახევარი წლით 4 მ., საზღვარ-გარეთ: ერთი წლით 14 მ., ნახევარი წლით 7 მან. სამი თვით: თფილისში 2 მ. 20 კ., თფილისს გარეთ 2 მ. 50 კ., ერთი თვით: თფილისში 80 კ., თფილისს გარეთ 90 კ.

ხ ე ლ ი ს მ ო წ ე რ ა მ ი ი ღ ე ბ ა: თფილისში „ახალი სხივის“ კანტორაში. ბათუმში, სამტრედიაში და ჭიათურაში რკინის გზის შკაფებში, ქუთაისში ის. კეიცარიძესთან, ჩოხატაურში ს. თავართქილაძესთან—წიგნის მაღაზიაში, ოზურგეთში მ. თალაკვაძესთან, ხიდისთავში ნ. კობიაშვილთან, ფოთში ს. ორაგველიძესთან. დანარჩენ ადგილებიდან ფოსტით უნდა გამოგზავნონ ფული რედაქციის კანტორაში.

რედაქციის ადრესი: რუსის ქუჩა № 3, შემოსავალი დიდი ვანქის ქუჩიდან.

ფულის გამოსაგზავნი ადრესი: Тифлисъ, тип. „Шрома“, Калистрату Конст. Цуладзе.

## ქართული თეატრი

პარასკევს, 19 მარტს, 1910 წ.

ნ ი ნ ო კ ო ლ ხ ი დ ე ლ ი

ქართულ მსახიობთა ამხანაგობის დახმარებით გამართავს წარმოდგენას კონცერტითურთ. წარმოდგენილი იქნება:

I

## პირველი ბუზი

მხიარული კომედია 3 მოქმ. გადმოკეთებული ვალ. გუნიას მიერ.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ნ. კოლხიდელი. ა. კარგარეთელი, ნ. გამყრელიძისა, ბ. ასათიანი ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, ვ. გუნია, გ. გედევანოვი, ა. იმედაშვილი, გ. იშხნელი, დ. მგალობლიშვილი, კ. ჭელიძე და სხვანი.

II

## დ ი ვ ე რ ტ ი ს მ ე ნ ტ ი

ვანო სარაჯიშვილი—იმღერებს რომანსებს, ი. ზიასეცკი—წაიკითხავს ლექსებს და სცენებს, ვ. აბაშიძე და გ. გედევანოვი—იმღერებენ კომიკურ კუპლეტებს, ნ. კოლხიდელი—წაიკითხავს ლექსებს, გ. იშხნელი—წაიკითხავს ლექსებს, ნ. ერისთავი—წაიკითხავს ლექსებს, ი. გრიშაშვილი—წაიკითხავს სცენებს და ლექსებს.

დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზე. ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

რეჟისორი ვალ. გუნია.

## ჟურნალ „ს ხ ი ვ ი ს“ მკითხველთა

და ხელის მომწერთა საყურადღებოთ

რადგან ჟურნალი „სხივი“-ს გამოცემა დღეიდან ჩემზე გადმოვიდა, ჟურნალი კვლავ იწყებს გამოსვლას იმავ პროგრამით და იმავ შინაარსით, როგორც ამდენ ხანს გამოდიოდა. მორიგი № 12 გამოვა კვირას, 28 მარტს (თფილისში გაიყიდება შაბათ საღამოს, ხოლო პროვინციებში გაიგზავნება პარასკევს, 21 მარტს). დღეიდან ყოველივე წერილები და ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით:

Тифлисъ, типографія «Культура» Вельяминовская улица, Валеріану Михайловичу Биланову. ვსთხოვ, ყველა ხელის მომწერთ, რომელთაც რომელიმე ნომერი არ მიუღია შეგვატყობინოს, რომ ხელმეორეთ გავუგზავნოთ. წლიური ხელის მომწერლები ყველა ნომრებს უკლებლივ მიიღებენ პრემიებითურთ.

ვალერიან ბილანიშვილი. (0—2)

გ ა მ ო ვ ი დ ა ა ხ ა ლ ი პ ა პ ი რ ო ს ე ბ ი

უმაღლესი ხარისხის და ნაზი სურნელებისა

## „ИВАН да МАРЬЯ“

25 ცალი 30 კაპ., 25 კაპ., 15 კაპ.

10 ცალი 10 კაპეიკი და 6 კაპეიკი.

სავაჭრო სახლი

## ნ. ი. ბოზარჯიანცისა

შვილებით 0—9

საკოლონიო ამხანაგობა

## ოგოროში

ამიერ-კავკ. რკინის გზების მოსამსახურეთა მომხმარებელ საზოგადოების საქონლის ჩამბარებელი)

ამით აუწყებს მომხმარებელ საზოგადოების წევრთ და კერძო მუშტართ, რომ 11 მარტიდან გაიხსნა

შეკერილ ტანისამოსის განყოფილება.

ყოველნაირი ტანისამოსი მამაკაცთა პორტიკულიარული ფორმისა და მოწაფეთათვის, ქალთა ტანისამოსი, პარიზის უკანასკნელ მოდაზე დამზადებული ფასები შეუვაჭრებლათ, კონკურენციის გარეშე. მაღაზია მოთავსებულია გოლოვინის პროსპ. № 16, სახაზინო თეატრის პირდაპირ. (5—5)

თეთრი უპირველესი აბრეშუმის თესლი, ბაღდადის ჯიშისა

## მიხრან ხანჯიანისა

სტამბოლი-არტარტელ

საუკეთესო თეთრი აბრეშუმის თესლი ბაღდადის ჯიშისა

## თეთრი ბანდეროლით

მსურველმა უნდა მიმართოს შემდეგის ადრესით: Тифлисъ, Гостиница „Кавказъ“ кв. 33. (4—3)

დაიბეჭდა და იყიდება ქართულ ენაზე ჰერგარტ ჰაუპტმანის ცნობილი დრამა

## ფეიქრები

წიგნში ჩართულია ავტორის სურათი და პ. კოგანის კრიტიკული განხილვა. ეს დრამა ბერლინის თეატრებში სამი წლის განმავლობაში ორასჯერ დასდგეს. დრამის შინაარსი აღებულია გასულ საუკუნის ორმოციან წლებიდან გერმანიის მუშათა ცხოვრებიდან.

წიგნი ღირს 50 კაპ.

მთავარი საწყობი წიგნისა არის მაღაზია „ალიონის“ ვამგე ვ. გადილიასთან. პროვინციაში მსურველთ წიგნი გაეგზავნება ჩვენი ხარჯით.

ფოსტის ადრესი. Тифлисъ, Кирочная ул. № 9 Василію Гадилія. 0—9

გამოვიდა ახალი № მე-11 სათეატრო-სალიტერატურო-სამხატვრო სურათებიანი ჟურნალი




ამ ნომერში დაბეჭდილია ივ. გომართელის „დრამატიულ გამგეობის წევრი“.

თითო ნომერი ყველგან 10 კაპ.

წლიურად 5 მ., ნახ. წლით 3 მ. ხელის მოწერა მიიღება ქართ. დრამ. საზოგ. კანტორაში იოსებ იმედაშვილთან.

ადრესი: Тифлисъ, контора Груз. Драм. об—ва, Іос. Зах. Имедашвили (სათავადაზნ. ქარვასლაში, ქართულ თეატრთ ნ).

რედ.-გამომც. იოსებ იმედაშვილი.

გაზ. „მარცვალი“-ს რედაქცია

აუწყებს მკითხველებს და ხელის მომწერთ, რომ გაზეთი „მარცვალი“ სხვადასხვა მიზეზებისა გამო შეჩერდა. ხელის მომწერთ თავიანთი ფული, მხოლოდ მოთხოვნილებისამებრ დაუბრუნდებათ, რადგან რედაქციის მდივნის დატუსაღების შემდეგ ზოგიერთი საჭირო ქაღალდები დაიკარგა და რედაქციამ ველარ გამოარკვია, ვის რამდენი ფული აქვს შემოტანილი. დაიკარგა აგრეთვე ხელის მომწერთა სია, რისთვისაც ვსთხოვთ ხელის მომწერლებს ფულის მოთხოვნის დროს კვიტანცია წარმოადგინონ.

ადრესი: Баку, Докторскій переулокъ, домъ № 5. А. П. Надирадзе. (2—2)

## მკერვალი ქალი

ვღებულობ შესაკერათ ყოველგვარ ტანისამოსს ქალების და ბავშვებისა

დაკლებულ ფასებში.

ადრესი: Казбекская № 10. 0—6

კბილის ექიმი

## რომანიშვილი—დგებუაძისა

იღებს ავათმყოფებს 2—6 საათამდის. პლომბის გაკეთება, კბილის ამოღება და ხელოვნური კბილების ჩასმა ყველასათვის ხელმისაწვდენ ფასათ. მოსწავლე ბავშვებს დაკლებულ ფასებში.

ახალი ბინა: ავჭალის ქუჩა № 34.

კბილის ექიმი

## ს. გ ა შ ა ყ მ ა ძ ე

დილით მიიღება ავათმყოფები 11 საათიდან 2 საათამდის. საღამოს 5—7 ვერის დაღმართი სახ. 15.

## სახელმწიფო დუმა,

(სააგ. დეპ.)

16 მარტი.

თავმჯდომარე აცხადებს, რომ პურიშკევიჩი თხოულობს დასვენების ვადა მისცენ სასჯელის მოსახდელათ. თათბირი წინადადებას იძლევა დუმის საზოგადო კრებამ განიხილოს ეს საკითხი. კენჭის ყრით პურიშკევიჩის შუამდგომლობას აკმაყოფილებენ.

**ჩერევინსკი** მოხსენებას აკეთებს გადასახლების სამმართველოს ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ. გამოანგარიშებულია 25,277,077 მანეთი. კომისიას შეუმცირებია 118,233 მანეთით.

**მიწათ-მოქმედების მთავარი გამგე** აღნიშნავს, როგორ იმატა ამ ბოლო ხანებში გადასახლებამ და მიწების მოწესრიგების საქმემ. რომ გადასახლების საქმისთვის აუცილებლათ საჭიროა რეფორმა, როგორც მიგალითათ მიწების გაზომვის რთული ტეხნიკის გაუქმება და მიწების საკუთრებათ გადაცემა გადასახლებულთათვის.

**თავ. გოლიცინი** ამბობს, რომ საზოგადოთ გადასახლების საქმე ცუდათ არის დაყენებული, ამიტომ ის წინადადებას იძლევა გადაეცეს ეს საეროზო დაწესებულებას.

**ვიშნევსკი** ადგილიდან—ღმერთმა დაგვიფაროს!

**ჩილიკინი** მართალია, სრულიად მართალი! (მარცხნით ტაშის ცემა).

**ვინოგრადოვი** ვრცელ სიტყვაში აღნიშნავს, რომ საზოგადოთ გადასახლების საქმე ცუდ ნიადაგზეა დაყენებული და საჭიროა მისი მოწესრიგება.

**ხასმამედოვი** ლაპარაკობს მთავრობის მოქმედებაზე კავკასიაში გადასახლების საქმეში; მთავრობა ასახლებს იქრუს გლეხებს. როცა ჯერ საჭირო იყო იქაურ მკვიდრ გლეხთა და მემამულეთა ურთიერთ შორის დამოკიდებულების მოწესრიგება, ბატონ-ყმური ნაშთების მოსპობა.

**ვოილოშნიკოვი** ს.-დემოკრატების სახელით აცხადებს, რომ მთავრობა ასახლებს უფრო მშიერ და უკმაყოფილო გლეხებს განაპირა ქვეყნებში 30,000 მემამულის ინტერესების გულისთვის. ორატორის სიტყვით მთავრობა ტყავს აძრობს ციმბირის ძველ მცხოვრებთ, ართმევს მათ მიწებს და სხვა. გადასახლების საქმეში მთავრობამ ნაციონალური ტენდენცია შეიტანა დუმის და საბჭოს დახმარებით უმთავრესათ კავკასიის შესახებ, სადაც ართმევს ადგილობრივ მკვიდრთ მიწებს და ამით საქმეს ამწვავებს. (მარცხნით ტაშის ცემა).

**ჩხეიძე** ადგილიდან—მართალია! სრულიად მართალი!

ლაპარაკობენ გრ. ტოლსტოი, შილო, მღ. ტრეგუბოვი და კოლკოვი. ყველა ორატორები თავიანთ სიტყვებში ერთ საბოლოო დასკვნამდე მიდიან, რომ გადასახლების საქმე ცუდათ არის მოწყობილი და საჭიროა მისი ძირითადი რეფორმა. სხდომა იხურება. შემდეგი სხდომა შესდგება 17 მარტს.

## დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

17 მარტი.

### ოსმალეთი

**სალონიკი.** ბერძენთა თემებმა მაკედონიაში დეპეშით პროტესტი გაგზავნეს სტამბოლში სადაო ეკლესიების შესახებ კანონის მეოთხე და მეხუთე მუხლების მიღებისათვის.

იპეკის ოლქში ალბანელები უარს ამბობენ გადასახადებზე. მიტროვიცა-იპეკს შუა გზა ალბანელებმა დაიჭირეს. მათ დაიჭირეს 70 სერბიელი ახალი სილდათი და არ უშვებენ. მალესიაში ერთი ტომის ხალხი დიბარზე თავდასხმას აპირებს, მის დასაცველათ რამდენიმე ბათალიონი მივიდა. სოფელ გუსკოპიის გლეხებს და ალბანელებს შეიარაღებული შეტაკება მოუვიდათ საბალახოების თაობაზე.

### საზღვარ-გარეთ

**ბუდაპეშტი.** სოფელ ესკერიტოში აღდგომის დღესასწაულის გამო დიდ სარაიაში გასართობი საღამო გამართეს. ალაყაფის კარები ჩაკეტეს, რომ უბილეთო არავინ შესულიყო. ქაღალდის ფანარს ცეცხლი გაუჩნდა. ხალხს თავზარი დაეცა და კარების ვიწრო გასავალს მიაწყდა. აურ-ზაურის დროს სახლის ჭერი ჩამოინგრა და ქვეშ მოყვა 290 ქალი და კაცი, ასამდე მძიმეთ დაშავდა.

**ბუდაპეშტი.** სახლის ჩამონგრევის დროს სულ დაიღუპა 320 ქალი და კაცი.

**ბილბაო.** ნავთსადგურების მუშები გაიფიცენ. მიზეზი პირობების შეუსრულებლობაა. წესიერება არ დარღვეულა.

**ცინცინატი.** მადნებში მომუშავეებმა უარყვეს სახლის პატრონთა წინადადება. ოგაიოს, ინდიანსა და დასავლეთ პენსილვანიაში მუშათა წინამძღოლები ამბობენ, რომ შეიძლება გაფიცვა მოხდესო.

**ბილბაო.** ნავთსადგურის გაფიცულმა მუშებმა კვლავ განაახლეს მუშაობა.

**ვენეცია.** ტარნოვსკაიას საქმე. განაგრძობენ მოწმეების შეკითხვას. სატუსაღოში მოსამსახურე მანაზონმა განაცხადა, რომ ტარნოვსკაია გულმოწყალეა და უყვარს მოწყალების საქმე. დამცველი აცხადებს, რომ 23 მოწმეთაგან მხოლოდ სამი გამოცხადდა და რადგან მათი შეკითხვა აუცილებლათ საჭიროა, სთხოვს თავმჯდომარეს გაგზავნოს მათ შესაკითხავათ განსაკუთრებული კომისია. პოლიციის კომისარმა, რომელმაც ნაუმოვი დაიჭირა სადგურ ვერონაზე სთქვა, რომ პირველათ ნაუმოვი გულგრილათ შეხვდა დაჭერას და აინუნშიაც არ ჩაუგდია, ხოლო შემდეგ სასოწარკვეთილებაში ჩავარდა და ხშირათ კოცნიდა გულზე დაკიდულ პატარა ჯვარს. მოსკოვიდან მოსული სერპუხოვის ერობის გამგეობის თავმჯდომარე, პრილუკოვის ახლო მეგობარი, ამბობს, რომ პრილუკოვი ძალიან შეიცვალა მას შემდეგ, რაც ტარნოვსკაია გაიცნო, ერთხელ თავის მოკვლაც კი განიზრახა.

**სოფია.** ბულგარეთის სააგენტო იტყობინება, რომ 14 მარტს ნაშუადღევის სამ საათზე ოსმალელმა სალდათებმა ბულგარეთის პატრულს თოფები ესროლეს კიზილაგაჩის ახლო. გაჩაღდა სროლა. ოსმალების ქვეითი ჯარი და არტილერია შეუერთდა. ჯერ არ იციან რამდენი დაკარგეს ბულგარელებმა. ბულგარეთის ტერიტორიაზე მოკლულია ერთი ოსმალელი სალდათი. არიან დაჭრილები. სამხედრო მინისტრმა ფიცხელი განკარგულება მოახდინა შესწყდეს შეტაკება. შეიკრიბენ ოსმალელი და ბულგარელი აფიცრები ამ ინციდენტის ერთათ გამოსაკვლევათ.

### რუსეთი

**დონის როსტოვი.** სადგურ ტიხორეცკაიას ახლო რკინის გზის ვაგონში კაზაკის აფიცერმა რევოლვერით მოკლა აქციზის კანტროლიორი.—მეორე დღეს თოვლი მოდის.—7 მაისს დანიშნულია 1905 წელს ებრაელების წინააღმდეგ უწესოების მოხდენის საქმე. ბრალს სდებენ 41 კაცს.

**სარატოვი.** სამხედრო სასამართლოში დაიწყო სარატოვის ს.-დემოკრატიულ ორგანიზაციის საქმე. ბრალს სდებენ 25 კაცს. ბევრ მათგანს აბრალებენ აგრეთვე მაღაზიებზე, დუქნებზე და ფოსტის მოხელეზე თავდასხმას.

**პეტერბურგი.** იწვის ბორგანის შოკოლადის ფაბრიკა.

— ბომანის ფაბრიკაში დაიწვა ერთ სართულიანი სახლის ჭერი და დაზიანდა კაკაოს საწყობი. ზარალი 60,000 მანეთამდეა.

# უკანასკნელი ფოსტა

## საზღვარ-გარეთ

**პოლიციელების მუქარა.** პარიზის პოლიციელთა კორპუსი მთავრობას ემუქრება 1 მაისს გაფიცვას მოვახდენთ, თუ 30 აპრილისათვის დაკმაყოფილებული არ იქნება ჩვენი მოთხოვნილება დაჯილდოვებისა და სამსახურის შესრულების შესახებ.

**ფოსტის მოხელენი არჩევნებზე.** პარიზის ფოსტა ტელეგრაფის მოსამსახურეებმა დაადგინეს პალატის მახლობელ არჩევნებზე სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიონ იმ კანდიდატებს, რომლებმაც ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა უკანასკნელ გაფიცვის დროს მათ წინააღმდეგ გაილაშქრეს.

**ანტიმილიტარისტების მოწოდება.** 10 (23) მარტს, პარიზის შენობის კედლებზე ანტიმილიტარისტების წითელი პროკლამაციები გააკრეს, რომელშიაც სასტიკათ კიცხავენ აფიცრებს. ანტიმილიტარისტები ჯარის-კაცებს მოუწოდებენ აფიცრების წინააღმდეგ იარაღით იმოქმედონ.

## რუსეთი

**სტუდენტების შეტაკება.** რადგან კიევის უნივერსიტეტის მთავრობამ სტუდენტებს ნება არ დართო საერთო კრება მოეწვიათ, ამიტომ სტუდენტები ჯგუფ-ჯგუფათ შეიკრიბენ, რომ პურიშკევიჩის დასაგმობათ რეზოლიუციები გამოეტანათ. „აკადემისტი“-ს სტუდენტები აუდიტორიებში დაიარებოდენ და მოითხოვდენ, რომ სტუდენტები დაშლილიყვნენ. ერთ აუდიტორიაში „აკადემისტებმა“ ქართველ სტუდენტებს „კავკასიელი მაიმუნები“ უწოდეს. ქართველებმა „აკადემისტებისაკენ“ გაიწიეს. უკანასკნელების მეთაურმა პირელოვმა ჯიბისაკენ წაიღო ხელი. შეტაკება მოხდა სხვა აუდიტორიებშიაც. უნივერსიტეტის რექტორი იძულებული გახადა საქმეში ჩარეოდა და „აკადემისტებისათვის“ შემდეგი სიტყვებით მიემართა:

„დროშაზე წესიერება გიწერიათ, თქვენ კი უწესოებას ახდენთ. თქვენი საქმე არ არის თავს იდოთ უნივერსიტეტში მშვიდობიანობის დაცვა.

შემდეგ რექტორი შეეკითხა «აკადემისტებს».

თქვენ იარაღი გაქვთ?

რასაკვირველია,—მიუგეს მათ, ჩვენ ამის ნება გვაქვს. ამას ადგილი არ უნდა ქონდეს უნივერსიტეტშიო, განაცხადა რექტორმა.

დამსწრე სტუდენტები რექტორის სიტყვებს ტაშისცემით შეეგებენ.

**გაფიცვა.** პეტერბურგის სამხედრო-საექიმო აკადემიის სტუდენტებმა ერთი დღით გაფიცვა გამოაცხადეს მეორე კურსის შტაბ-აფიცრის დემბოვსკის წინააღმდეგ. გაფიცვას სტუდენტების ნაწილმა დაუჭირა მხარი.

**ლიტერატურული საქმე.** 12 მარტს პეტერბურგის სამოსამართლო პალატამ გაარჩია ჟურნალ „სოვრემ. მირის» თანამშრომლის კრანიხფელდის საქმე კრანიხფელდის ბინაზე გაჩხრეკის დროს პოლიციამ აღმოაჩინა შემდეგი ბროშიურები: „კლასი კლასის წინააღმდეგ“, „როგორ უყურებენ სოციალდემოკრატები და სოციალისტ-რევოლიუციონერები მიწის საკითხს“, «ზინაიდა ვას. კონოპლიანიკოვისა“ და სხვ... სამოსამართლო პალატამ კრანიხფელდს ერთი წლის დაპატიმრება გადაუწყვიტა.

**შეკითხვის უარყოფა.** დუმაში ამას წინათ შეკითხვა შეიტანეს იმის შესახებ, რომ ცენზურა ნებას არ აძლევს სახ. დუმას და საბჭოს წიგნთ-საცავებს საზღვარ გარეთის გამოცემები იქონიონ. მაგ., სადამოჟნო ცენზურამ დააკავა ჟურნალ „ბილოეს“ მორიგი ნომერი. შეკითხვების კომისიაში ამის შესახებ მოხსენება წაიკითხეს. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ცენზურას შეუძლია დააკავოს ის წიგნები და ჟურნალ-გაზეთები, რომელნიც სახ. დუმის და საბჭოს წიგნთ-საცავებს გამოუწერელით მოდისო. ამიტომ შეკითხვა კომისიამ უარყო.

**სენატის დადგენილება.** 12 მარტს სენატის პირველმა დეპარტამენტმა განიხილა კოსტრომის ყოფილი გუბერნატორის ვერეტენიკოვის რაპორტი, რომელშიაც ის მოითხოვდა კოსტრომის გუბერნიის სამაზრო თავად-აზნაურთა წინამძღოლების პასუხის გებაში მიცემას. ვერეტენიკოვი მათ ბრალს სდებს სხვადასხვა არაკანონიერ მოქმედებაში. სენატი გაეცნო საქმეს და დაადგინა, რომ ასეთი „დეფექტები“ სამსახურის ასრულების დროს ყველგან ხდება, მაგრამ მათი დანაშაულობათ ჩარიცხვა შეუძლებელიაო. ვერეტენიკოვის საჩივარი სენატმა უყურადღებოთ დასტოვა. სენატის დადგენილებას დაეთანხმა შინაგან ესაქმთა მინისტრიც.

**გუჩკოვის და უვაროვის საქმე.** პეტერბურგის მაზრის პირველი უბნის გამომძიებელმა 13 მარტს სახელმწიფო დუმის თავმჯდომარეს ა. ი. გუჩკოვს ჩვენება ჩამორთვა მას და უვაროვს შორის მომხდარ „დუელის“ შესახებ. გუჩკოვმა, «უ. რ.“ სიტყვით თავი დამნაშავეთ იცნო, მაგრამ განმარტების მიცემაზე უარი განაცხადა. გამომძიებელმა დაიბარა აგრეთვე გრ. უვაროვიც, რომელმაც ისეთივე პასუხი მისცა, როგორიც გუჩკოვმა.

**საპროტესტო დეპეშები.** პურიშკევიჩის მოქმედების წინააღმდეგ სატახტო გაზეთებში დასტამბულია საპროტესტო დეპეშები: ყაზანის, კიევის კომერციული ინსტიტუტის, პეტერბურგის სამოქალაქო ინჟენერთა ინსტიტუტის, ხარკოვის ქალთა უმაღლესი კურსების, კიევის ქალთა უმაღლესი კურსების და სხვა უმაღლეს სისწავლებლების მოსწავლე ახალგაზდობისაგან.

**გუბერნატორი-კრიტიკი.** ენისეისკში ქალ. თეატრში გამართულ საღამოზე მსახიობი პოლი ანტონ ჩეხოვის მოთხრობას „კანიტელს“ კითხულობდა. ვიცე-გუბერნატორმა მილერმა, რომელიც გუბერნატორის თანამდებობას ასრულებდა, საერთო სიჩუმე დაარღვია და ხმამაღლა აღრიალდა: „გთხოვთ სისულელეს ნუ კითხულობთ, ეს სარწმუნოების შეურაცხყოფააო“.

მსახიობმა მილერს გადახედა და დაბეჯითებით უპასუხა: „ეს ჩემი ნაწარმოები კი არ არის, არამედ—ანტონ პავლოვიჩ ჩეხოვისა. გთხოვთ მიმართოთ თვითონ ავტორსო»!

დამსწრე საზოგადოებამ ცხარე ტაშისცემით დააჯილდოვა მსახიობი.

* * *

(ვუძღვნი იასამანს)

საგაზაფხულო გრილი ნიავი
კვალად ეწვია სამშობლო მხარეს,
უსაზღვრო ტრფობამ ხელი ჩასჭიდა,—
შემოეხვია ლაჟვარდზე მთვარეს,
ცელქი სხივებით მზე ამბორს უყოფს
და ნანას უსმენს ისევ მდინარეს,
ბულბულმა ტკბილი, წარმტაცი ჰანგი
მიმოაფინა მთლად არე-მარეს,
ნეტავ მათ შორის ბინა არ ჰქონდეს
არც სასაფლაოს და არც მოზარეს!..

**რ. ღეჩხუმელი.**

* *

კვლავ ხელში გიღებ, კალამო,
გამყოფო ვნება ჭირისა,
სულში ჩამწდომო—მალამო
მრავალის გასაჭირისა.
გულს გამეწონე, სიღრმეში
ამოსველე ეგ წვერი,—
სისხლის ასოთი დასწერე,
რაც გულსა ჰქონდეს საწერი...
მისწერე სატრფოს: „თუმც მკლავი
ბორკილებს შეუჭედია,
ვეღარა ვხმარობ, ვერა ვძრავ,
მდალატობს შავი ბედია.
თუმც ენა-ბაგე შავ საცოს
უჩინრად დაუმონია,
რაც სურს ვერ უთქვამს,—თუ უთქვამს—
ვერავის გაუგონია.
თუმც ფეხთა მძიმე ბორკილის
ჩხარუნი ავსებს არესა,—
ზოგს სიხარულს გვრის, ზოგს ტანჯვას,
ზოგს დღეს აყენებს მწარესა.
მთელი ქვეყანა შავ ქსელში
გაბმულა, გამოხვეულა—
და ჯოჯოხეთის ალები
ქვესკნელით ამოჰდეულა.
ქუჩა საკანათ გამხდარა,
ქალაქი ციხეთ ქცეულა—
და მთელი ჩემი არსებაც
ტუსაღათ გადაქცეულა!..
და მე კი, ჩემო იმედო,—
მალამო ჩემი წყლულისა,
ნება არა მაქვს ამბორის
და შენის სიყვარულისა.
ძალა არ შემწევს უბედურს
ხელი მოგხვიო შეკრული,—
ტუჩზე მიგიკრა, სამუდმოთ
დავიტკბო გული მოკლული!.
მაგრამ არ ვტყდები, ფიქრებით
შენ გეტრფი, შენვე გიმღერი
და მთელის ჩემი არსებით,
ვფიცავ, თავს შემოგევლები:
თუ გინდ ეგ ჩემი სიცოცხლე
მოხიბლონ გესლით, შხამითა,—
ვერ დაგივიწყებ ვერც ერთის
წუთით, ვერც ერთის წამითა.
ვის გაუგია საუნჯევ,
სიცოცხლევ ჩემის გულისა,
ბორკილის შესხმა, შებოჭვა
უბიწო სიყვარულისა!
ვის გაუგია — გონებას
უკეტდენ ციხის კარებსა—
და მასთან ერთად ამწყვდევდნენ
ფიქრებს—ხელ-მიუკარებსა!..
მე თუ სუსტი ვარ, ტყვედ-ქმნილი,
იგი ლაღია, ძლიერი,—
მას ვერას ავნებს მახვილი,
სული ბოროტი, ცბიერი...
და მეც მით ვცოცხლობ, ამ აზრით
მიტკბება გულის იარა,
თორემ მოთმენის ფიალა
აღივსო, გადმოიარა!“
ასე მისწერე, კალამო,
ჩემს სულის სატრფო საუნჯეს—
და შემდეგ თუ გინდ ეგ ენა
ნულარას იტყვის დამუნჯდეს.

**ლ. დარჩია.**

# ახალი ამბები

✦ **თფილისის ტელეფონის შესაკეთებლათ** და ამ გვარ ტელეფონის დაბლა, მიწაში გასაყვანათ ფოსტა-ტელეგრაფის მთავარ სამმართველოს 300,000 მან. გადაუდვია.

✦ **კახეთის რკინის გზა.** ბელგიელ კაპიტალისტ ა. ფლატტეს თფილისის თავად-აზნაურობასთან ხელშეკრულება დაუდვია იმის შესახებ, რომ კახეთის რკინის გზის კონცესიის მიღების შემდეგ ის ხსენებულ გზის კეთებას შეუდგება. როგორც აღნიშნული გვქონდა, ეს გზა 12 მილიონი მანეთი დაჯდება.

✦ **ქეთევანის გასამართლება.** სამშაბათს, 16 მარტს, ქართულ თეატრში მოხდა „სამშობლოს“ გმირ ქალის ქეთევანის გასამართლება. სასამართლომ ქე-

## დეპ. გეგეჭკორის სიტყვა იუსტიციის სამინისტროს ბიუჯეტის შესახებ.

(სტენოგრაფიული ანგარიშიდან)

სახელმწიფო დუმა მესამეჯერ იხილავს იუსტიციის სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვას. რაც ორჯერ ვიხილეთ, ვფიქრობ, მესამეთაც მასვე ვიხილავთ. ერთი და იგივე სურათი მათემატიკური სინამდვილით მეორდება. იგივე მკაცრი გაკიცხვა იუსტიციის სამინისტროს ხელმძღვანელის პოლიტიკისა, იგივე გამანადგურებელი კრიტიკა ანტი-სახელმწიფოებრივი პოლიტიკისა, იგივე სიტყვები. ბ-ნი შჩეგლოვიტოვი ამ ჟამათ სახ. დუმაში არ არის, ალბათ, პრემიერ მინისტრის მაგალითს წაბაძა. ასეთი ერგვარი პირობები, რომელშიაც იუსტიციის სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა გვიხდება, ადვილი ასახსნელია თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ საზოგადოთ მთავრობის მოქმედებაში არაფერი არ შეცვლილა; მაშასადამე, ყველაფერი თავის ადგილზე დარჩა იუსტიციის სამინისტროს უწყებაშიაც. ამიტომ, გასაკვირალიც არ უნდა იყოს, თუ ისევ უკვე ცნობილი დებულებების წამოყენება გჭირდება, თუ ჩვენ საპასუხოთ მოწინააღმდეგენი იმავე არგუმენტებს ხმარობენ, რომლითაც წარსულ წელს გვიმასპინძლდებოდენ. ერთად-ერთი ცვლილება, რომელიც იუსტიციის სამინისტროს უწყებაში მოხდა, ეს არის შჩეგლოვიტოვის ამხანაგათ ლიუცეს მაგიერ არა ნაკლებ საპატიო ვეროვკინის დანიშვნა. მაგრამ, აშკარაა, რომ ამ გარემოებას არავითარი ცვლილების შეტანა არ შეეძლო იუსტიციის სამინისტროს უწყების პოლიტიკაში (ხმა მარჯვნიდან: რასაკვირველია). სამინისტროს სათავეში ჩვენ ვხედავთ იმავე მინისტრს, რომელსაც განსაცვიფრებელი მოხერხებით შეუძლია ადვილათ შეეგუოს შეცვლილ პოლიტიკურ კონიუნქტურას, რომელსაც ერთგვარათ ეხერხება როგორც კოალიციონურ სამინისტროში თანამშრომლობა, რომელიც მილიუკოვის ხელმძღვანელობის ქვეშ უნდა დაარსებულიყო, აგრეთვე ამ ტრიბუნიდან მთელი კორპორაციების, ერების და წოდების მძიმე შეურაცხყოფა, რომ ამით ამა ქვეყნის ძლიერთა ყურადღება დაიმსახუროს. თუ ასეთია სამინისტროს მეთაური, თქვენ ადვილათ შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, რა უნდა ხდებოდეს ამ უწყების წიაღში, დაბალ სფერებში. იუსტიციის მინისტრმა შარშან მემარცხენე ორატორებს ვითომ უბრალოთ და ადვილათ გაგვცა პასუხი: ჩვენ მიერ იუსტ. სამინისტროს მოღვაწეობის ობიექტიურ დაფასებას მან „მოსწრებული სიტყვები“ უწოდა. როდესაც მე შევნიშნე, რომ სამინისტროში დესპოტიური ანარქიაა გამეფებული-მეთქი, შჩეგლოვიტოვმა ჩვენ ანარქისტები გვიწოდა, რადგან ჩვენ მას უარს ვეუბნებით ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცებაზე და ამაყათ განაცხადა, რომ მას ჩვენი იერიშის არ ეშინია. ამ სიტყვების შემდეგ ის გამარჯვებულის სახით ჩამოვიდა ტრიბუნიდან მისი ჭეშმარიტ-რუსული ტემპერამენტის და მჭერმეტყველების თაყვანის მცემელთაგან ტაშის ცემით შეხვედრილი. შეიძლება, ბ.ბ. ასეთი პასუხის გაცემა ადვილი და უბრალო იყოს, მაგრამ შემიძლია დავარწმუნო ბ-ნი იუსტიციის მინისტრი და მისი თაყვანისმცემელნი, რომ ამ პასუხმა ძალიან უმნიშვნელო ზე-გავლენა მოახდინა, რადგან მან ნათლათ დაგვანახვა, რომ იუსტიციის მინისტრს არაფერი არ მოეპოვებოდა საპასუხოთ მთელ რიგ ჩვენ მიერ წამოყენებულ ფაქტებზე და დებულებებზე, რომელთაც ადგილი ქონდათ იუსტიციის სამინისტროს უწყებაში უკანასკნელი ხნის განმავლობაში. ამ ჟამათ ჩვენ შეგვიძლია თამამათ ვსთქვათ, რომ განმეორდება იგივე ისტორია, რადგან ვეჭვობ, მთავრობის წარმომადგენელმა არსებითათ პასუხის გაცემა შეიძლოს. მიუხედავათ ამისა, ჩვენს ფრაქციას და პირადათ მე ძალიან გვაინტერესებს: ილაპარაკებენ სამინისტროს წარმომადგენელნი არსებითათ თუ არა. ჩვენ ამ ჟამათ სხვა დანიშნულება გვიძევს წინ, ჩვენ ვლაპარაკობთ ქვეყნის გასაგონათ. ფრაქციის მონდობილობით მე ნებას მივსცემ ჩემს თავს საზოგადოთ, რამოდენიმე სიტყვით დავახასიათო იუსტიციის სამინისტროს პოლიტიკა, რომ საშუალება მივსცეთ ხალხს, რომელიც ჩვენ გვისმენს და ჩვენს სიტყვებს კითხულობს, გაიგოს, თუ როგორი ორგანიზაციის ხელში გადადის ის რამდენიმე ათი მილიონი ფული, რომელსაც ამ ჟამათ საბიუჯეტო კომისია თხოულობს (ხმა მარჯვნიდან: თავად-აზნაურობამ თქვენ ჯერ წოდებიდან არ გამოგრიცხათ?)

**თავმჯდომ.** უმორჩილესათ გთხოვთ ადგილებიდან ნუ გამოელაპარაკებით.

**გეგეჭკორი.** იტყვიან, რომ ჩვენ უნიადაგო ოცნების ხალხნი, გაუსწორებელი სკეპტიკები ვართ, როდესაც ვამტკიცებთ, რომ თანამედროვე საზოგადოებრივ წყობილებაში, თანამედროვე სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ ძალთა განწყობილების დროს—სასამართლო კლასობრივი ორგანიზაცია, რომელიც გაბატონებული კლასების ინტერესებს ემსახურება. გვეტყვიან, თქვენ მარქსის დოგმატის ფანატიკოსები ხართ, როდესაც ვამტკიცებთ, რომ თანამედროვე კაპიტალისტურ სახელმწიფოში მართლმსაჯულება მხოლოდ კლასობრივი შეიძლება იყოს; არა კლასობრივი ის მაშინ გახდება, როდესაც მოისპობა არსებული საზოგადოების კლასებათ დაყოფა, როდესაც აღარ იქნებიან: მდიდრები და ღარიბები, მაძღარნი და მშიერნი, რაც წყაროა სოციალური და პოლიტიკური უსამართლობისა, რომლითაც ასე მდიდარია ჩვენი ცხოვრება. მე ამ თავათ ჩემ სიტყვაში გვერდს ვუხვევ შეურიგებელ სოციალდემოკრატიულ პრინციპიალურ შეხედულებას და დროებით უწყების და სახ. დუმის უმრავლესობის თვალთა ხედვის ისარზე ვდგები. იუსტ. მინისტრს არა ერთხელ უთქვამს, რომ ჩვენი სასამართლო ბურჯია სახელმწიფოებრიობისა საკურთხეველია სიმართლისა, საკურთხეველია მართლმსაჯულებისა. მე თქვენ გეკითხებით, სახ. დუმის წევრნო, ნუ თუ ეს სიტყვები, ეს დახასიათება სასამართლოების თანამედროვე მდგომარეობის შესახებ აშკარა დაცინვა არ არის მართლმსაჯულობის საქმისა და იმ აუდიტორიისა, რომლის წინაშეც ეს სიტყვები იყო წარმოთქმული? ნუ თუ იუსტ. მინისტრის და ყველა მისი თანამშრომლების მოქმედება იქით არ არის მიმართული, რომ ჩვენი სასამართლოები ჭეშმარიტების და კანონიერების საკურთხევლის მაგიერ რაღაც მის საწინააღმდეგო დაწესებულებათ გადააქციონ? ყველასათვის ცხადია, რომ სასამართლოს მხოლოდ მაშინ შეუძლია თავისი დანიშნულება შეასრულოს, მხოლოდ მაშინ შეუძლია განახორციელოს მაზე დაკისრებული ფუნქცია, როდესაც ის წესიერათ არის მოწყობილი, როდესაც სასამართლოს ორგანიზაციას საფუძვლათ უძევს შეურყეველი პრინციპები, რომელთა გადახვევა იმავე დროს თვით სასამართლოს ორგან. სიკვდილის მომასწავებელია, რომელთა გვერდის ახვევა გამხრწნელ გავლენას ახდენს მართლმსაჯულებაზე. და როდესაც სასამართლოს ორგანიზაციის საფუძველს ამ დებულებას აცლიან, სასამართლო უკვე კარგავს იმ ორგანოს ხასიათს, რომლის დანიშნულებაა შეუცვლელათ გაატაროს ცხოვრებაში არსებული უფლებრივი ნორმები; ასეთი სასამართლო ხდება უბრალო მექანიკურ იარაღათ იმ პირთა ინტერესების, მოთხოვნილებების და ჟინის გამოსახატავათ, რომელნიც თანამედროვე ისტორიულ მომენტში იუსტიციის უწყებას მოქცევიან სათავეში და აქედან მთელი ადმინისტრატიული ძალაც ხელში ჩაუგდიათ. ერთი აუცილებელი პირობათაგანი თანამედროვე სასამართლოს წესიერი მოქმედებისათვის არის დამოუკიდებლობა სასამართლოს ორგანოებისა და სასამართლოს მოღვაწეობისა.

არავინ თქვენგანმა არ იფიქროს, რომ მინისტრს ან მის თანამოადგილეებს, რომელთაც არა ერთხელ შეხვედრიათ ამ ტრიბუნაზე გამოსვლა, რაიმე წამოეყენებიათ ამ დებულების წინააღმდეგ. სრულებითაც არა. პირიქით, ისინი მხურვალე მომხრეობასაც იჩენენ ამ დებულებისადმი, მაგრამ მხოლოდ თეორიაში, მხოლოდ სიტყვით, ცხოვრებაში კი, იუსტიც. მინისტრის სიტყვების თანახმათ, პრაქტიკა ძალიან დაშორებულია თეორიას.

სინამდვილეში, საქმეზე, რუსეთის სახაზინო იუსტიცია,—ამას მე ვაცხადებ ღრმათ დარწმუნებული იმაში, რომ ჩემი სიტყვები ობიექტიურ სიმართლეს შეიცავს,—რუსეთის სახაზინო იუსტიცია, რომელსაც თავის არსებობაში ბევრი რამ უნახავს, რომელსაც ბევრი ისეთი პირები ყავს, რომლებმაც დიდძალი შრომა და ენერგია დახარჯეს რუსეთის რეაქციის განმტკიცებისათვის,—რუსეთის სახაზინო იუსტიციას, ვიმეორებ, ჯერაც არ ყოლია სათავეში მდგომი ისეთი პირი, რომელსაც ისე წარბ-შეუხრელათ, ისეთი ენერგიით და მკაცრათ გაეწია ბრძოლა სასამართლოების და მოსამართლეების დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, როგორც ამას დღეს ვხედავთ. ჩემი მტკიცება შიშველი ფაქტი არ არის, ლიტონი სიტყვები როდია. მე ხელთა მაქვს სია იმ პირთა, რომელნიც მხოლოდ იმისათვის დაისაჯენ, რომ მათ მოისურვეს გამოეშკარავებიათ მოსამართლის სინიდისის თავისუფლება, რომელთაც უნდოდათ დაეცვათ თავიანთი დამოკიდებულება გენერალ-პროკურორის ზეგავლენისაგან.

ეს სია სრული არ არის, რადგან ნაჩქარევათ შედგენილია. ამ სიაში დასახელებული პირები დაისაჯენ ძალიან მცირე ხნის განმავლობაში, 1907 წ.-დან 1909 წ დი. აი, ეს სიაც: სკარიატინი, ზეგნიცი, ვიტე, მიასოედოვი, სტრუვე, სტარიცკი, დავიდოვი, ბიბიკოვი ბარ. ვრანგელი, ვესცევი, კვაშნინი, სიდროკომსკი, სობოლევი, შალიპინი, გულლი, ბლაგოვეშჩენსკი, პალჩიკოვსკი, ივჩარენკო და რამდენიმე ათეული კიდევ სხვა.

შემდეგ სენატორები:

შიდლოვსკი, სმირნოვი, ივანოვი და სხვ. და განა ჩამოთვლილი სახელები საკმარისი არ არის იმ პირთათვის, რომელნიც თავიანთ თავს ცოტათი მაინც სცემენ პატივს, რომ ბილოს მაინც თავი გაანებონ ლაპარაკს და მტკიცებას, ვითომ ჩვენში არსებობდეს სასამართლოების და მსაჯულების დამოუკიდებლობა? ბ. მინისტრი შარშან ამ ტრიბუნიდან საქვეყნოთ გაიძახოდა, რომ რევოლიუციის და რეაქციის ტალღები სამოსამართლო დაწესებულებებს არ უნდა შეეხოსო. ის დაჟინებით იმეორებდა

თევანი გაამართლა. მსმენელთა შორის სასამართლოს განაჩენმა უკმაყოფილება გამოიწვია.

**✦ წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოების** მთავარ-გამგეობის წევრთა კრება დანიშნულია დღეს. კრება გაარჩევს მორიგ საკითხებს.

**✦ შუამდგომლობა უარყვეს.** გაზ. „ზაკავკ.“ რედაქტორის გ. ამირაჯიბის შუამდგომლობა თფილისის თავად-აზნაურთა დეპუტატების საკრებულოს წ ნაშე ყოველ თვიურათ ხსენებულ გაზეთისათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ, დეპუტატათა საკრებულოს მიერ უარყოფილია.

**✦ სიკვდილი კატორგათ შეუცვალეს.** სარწმუნო წყაროებიდან გავიგეთ, რომ სილოვან ივანიაძეს, რომელსაც სამხედრო სასამართლოს მიერ ბათუმში სიკვდილით სასჯელი ქონდა გადაწყვეტილი, კავკასიის უმაღლესმა მთავრობამ სიკვდილი 15 წლის კატორგათ შეუცვალა.

**✦ თათბირი კავკ. უმაღლეს სასწავლებლის შესახებ.** კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის ჩამოსვლისათანავე თათბირი მოხდება ნამესტნიკის თანაშემწის თანდასწრებით კავკასიაში უმაღლესი სასწავლებლის დაარსების შესახებ.

**✦ თფილისის ტრამვაი.** 17 მარტს ტრამვაის დირექციამ სახელესნოს და ელექტრონის სადგურის მუშებს გამოუცხადა, რათა ამოირჩიონ თითო წარმომადგენელი დირექტორთან მოსალაპარაკებლათ. მიზანი მოლაპარაკებისა, როგორც გადმოგვცემენ, მომხმარებელი მაღაზიის დაარსება უნდა იყოს.

**✦ ქალაქის პარკი.** გადაწყვეტილია ახლო მომავალში ვერაზე ქალაქის პარკი მოაწყონ.

**✦ სავაჭროების დახურვა.** გუშინ, 17 მარტს, ქალაქის სამეურნეო პოლიციამ დახურა რამდენიმე სავაჭრო, სადაც ქალაქის მიერ გაცემული სავაჭრო მოწმობები არ აღმოჩნდა.

**✦ ქუთაისის თავ.-აზნაურთა არჩევნები** როგორც ხმა დადის, უკანონოთ უცვნიათ და ხელ-ახალი არჩევნები მოხდება.

**✦ სიყალბე** მე-3, 4, და 10 საპოლიციო უბნებში აღმოაჩინეს ფქვილიანი ტომრები, „სოლოდოვის ფირმის“ ზედწარწერით, ნამდვილათ კი, —ეს ფქვილი სხვა ფირმის ყოფილა. მოვაჭრეებს პასუხისგებაში აძლევენ.

**✦ როგორც გამოირკვა** 15 მარტს მიხაილოვის ქუჩაზე საფოსტო ავტომობილისაგან მოკლული პოლკოვნიკი თავადი თ. გ. ნაკაშიძე ყოფილა, რომელიც სასტუმრო პალე-როიალში ცხოვრობდა—სარაჯიშვილის სახლებში №16.

**✦ იარაღით მოვაჭრე.** 16 მარტს თფილისში პოლიციამ შეიპყრო სპარსეთის ქვეშევრდომი ა. ფ. შახნაზაროვი, რომელსაც გაჩხრეკის დროს აღმოაჩნდა „სმიტ და ვესსონის“ სისტემის რევოლვერი, რომლის ტარების ნებართვა მას არ ქონდა. პოლიციური ცნობებით, შახნაზაროვი არალეგალურათ იარაღით ვაჭრობდა, რაშიაც თვითონ გამომტყდარა.

**✦ სკოლის შენობა.** ქალაქის გამგეობა უკვე შეუდგა დავითის მოედანზე პირველ დაწყებითი სკოლის შენობის აგებას. სკოლის შენობა 16,000 მ. ეღირება.

**✦ ქალაქის გამგეობის ხარჯთ-აღრიცხვით** პირველ-დაწყებითი სკოლების ახალი შენობები (დიდუბეში და ავლაბარში) ეღირება სულ 60,000 მანეთი.

**✦ ფოსტა-ტელეგრაფი.** საღგურ ბაკურიანში დაიწყო ფოსტა-ტელეგრაფის ოპერაცია.

**✦ მინდვრის თაგვი.** გამოირკვა, რომ შუშის მაზრაში მინდვრის თაგვი 600 ოთხ. კუთხ. ვერსის სივრცეზე გამრავლებულა, თაგვს გაუფუჭებია ნათესი და სხვა მცენარეები. კარიაგინის მაზრაში მინდვრის თაგვი გამრავლებულა 1500 დეს. სივრცეზე და ჯევარშინის მაზრაში 1200 დეს. სივრცეზე. აქაც გაუფუჭებია ნათესი და სხვა მცენარეები.

**✦ გადასახლებულთა განთავისუფლება.** კავკასიის ნამესტნიკის თანაშემწემ კეთილ ინება და ცივ-ქვეყნებიდან სამშობლოში დაბრუნების ნება დართო შემდეგ გადასახლებულთ: გორის მაზრის მცხოვრებთ: ს. გ. ოქრუაშვილს და ტ. გ. გელხუარს; მათ არ შეუძლიათ იცხოვრონ მხოლოთ თფილისში და თფილისის მაზრაში. სამშობლოში დაბრუნების ნება დართეს აგრეთვე ქალაქ ქუთაისის მცხოვრებს ნ. ა. კიკნაძეს.

**✦ მაზრის უფროსი სამართალში** განჯის საგუბერნიო საკრებულოს დადგენილებით, რომელიც კავკასიის ნამესტნიკის თანაშემწემ უკვე დაამტკიცა, ზანგეზურის მაზრის უფროსი სამართალშია მიცემული სამსახურში ბოროტ-მოქმედებისათვის.

**✦ ი. დ. მიქიაშვილის საქმე.** „ზაკ.“ ოდესიდან ატყობინებენ, რომ სენატმა უყურადღებოთ დატოვა ი. დ. მიქიაშვილის საჩივარი. როგორც ვიცით, სახაზინო ფულების გაფლანგვისათვის 3 წლის გამასწორებელი რაზმი ქონდა მისჯილი. ამ დადგენილებას სისრულეში მოიყვანენ მაშინ, როცა სასამართლო გაარჩევს კიდევ სხვა საქმეებს, რაშიაც მიქიაშვილს ბრალი ედება.

## ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებს.

(პასუხი ბ. სტ. ქრელაშვილს).

(დასასრული).

მერვე. ჩვენ ვიცით, რომ ბ. ქრელაშვილი თითქმის ყველა მოლაპარაკებაში, როგორც „კურიერთან“, აგრეთვე ყიფიანთან და ნავურსკისთან მონაწილეობას იღებდა.

ბ. ქრელაშვილი ცდილობს, რომ ჩვენ თვალებში ნაცარი შეგვაყაროს და დაგვაჯეროს, რომ ყველა ზემოთ მოყვანილი ამბები შეადგენს ერთ უბრალო უმნიშვნელო ვოდევილს (случайно случившийся случай) — „შემთხვევით, შემთხვეული შემთხვევა“. არა. აქ ხუმრობას ადგილი არა აქვს. აქ, დიდი დრამაა, სადაც ხმოსნები—აქტიორები ძალიან ხელოვნურათ ახერხებენ მთელი ქალაქის, თავის ამომრჩევლის ინტერესებით ვაჭრობას ბელგიელებთან.

თანახმად ანდაზისა: „მელას რაც აგონდებოდა, ის ესიზმრებოდაო“, ბ-ნი ქრ. ერთ სხვა შემთხვევასაც იგონებს, რომელზედაც არ ყოფილა ლაპარაკი ჟურნალისტთა კრებაზე. ეს ის შემთხვევაა, რომ ბ-ნ ქრელაშვილმა შეიტანა მოხსენება საბჭოში, სადაც ამტკიცებდა, რომ გამგეობის წევრებისთვის ცხრაასცხრაასი მანეთი მოემატებინათ და ისე მოაწყო კრება, რომ კიდევაც გაიყვანა თავისი წინადადება. ხოლო საბჭოში აღმოჩნდა რამოდენიმე ჯენტლმენი, რომლებმაც განაცხადეს პროტესტი ამ შეუსაბამო დადგენილებაზე და საბჭომაც, მიიღო რა სახეში იმათი სამართლიანი საფუძვლები, გააუქმა წინანდელი დადგენილება, აქ არავითარი „განსაკუთრებული კანტროლი“ არაფერ შუაში არ ყოფილა. აქ ცხადათ სჩანდა მხოლოდ ძველი ბერძნული ანდაზა „ხირ ხირა ნიზი“—ხელი ხელს ბანს.

პრესის შესახებ, სხვათა შორის, სთქვეს, რომ ერთგვარი ჯურის ჟურნალისტებისთვის პრესა რაიმე სამსახურის კარიერის შესასვლელი კარებია. ეს სიტყვებიც რომ შევუფარდოთ ბ-ნ ქრ. „მოღვაწეობას“, მაშინაც კი ვერ ვხედავთ „საზიზღარ ცილისწამებას“, ბ-ნი ქრელაშვილი პირველად ჟურნალისტი იყო, როგორც მახსოვს, „ივერიის“ მუდმივი თანამშრომელი იყო. აქედან გაიდვა მან ხიდი ქალაქის გამგეობის კარებისაკენ და გახდა ჯერ აგენტი, მერე საქმის მწარმოებელი და ბოლოს საბჭოს სეკრეტარი და თან ხმოსანიც შეიქნა. საბჭოს სეკრეტრობას რომ თავი დაანება, მაშინაც კი ჟურნალისტობას მიყო ხელი, მაგრამ ორი თვეც არ გასულა, რომ უსახელო საზოგადოებაში სეკრეტრათ ამოყო თავი.

მაშ, სად არის „საზიზღარი ცილისწამება“ და „პროფესიონალური ცილისმწამებლები“?

ბ. ქრელაშვილის წერილში ყურადღების ღირსია ავტორის მანერები. ის ერიდება პირდაპირ კითხვის დასმას და სიტყვებს ბანზე ისვრის, თან გულთმისნობს და სხვის გულში ვითომ რაღაც სიცილს პოულობს. აქ ბ-ნი ქრ. გვაგონებს ერთ ანდაზას: „მელა ხაფანგში გაება და თავი მოიმძინარა—სიზმარი იქნებაო“, მაგრამ ბ ნი ქრ. ამით ფონს ვერ გავა. აქ სიზმარი არ არის. კითხვა პირდაპირ არის დასმული და ჟურნალისტებიც ვალდებული იყვენ სიმართლე აღედგინათ.

„ათასი კაცი მუშაობს ტრამვაიში და ჰკითხეთ“-ო. თვითონ ბ-ნი ქრ. თუ გაირჯება და კითხავს, შეიტყობს. ყველა ამ „ათასმა კაცმა“ ახლა ძალიან კარგათ იცის ვინ არიან ან ბელგიელები, ან ქალაქის თვითმართველობა და მისი გამგამგეობა და ვის რა სამსახურს უწევენ ისინი. და ათასი კაცის განძი სწორეთ ამ ცოდნაში და გამორკვევაში, სწორეთ ეს შეგნებაა მათი ხ'ნის თავიმდები.

„თუ როგორ ფასობს ჩვენში სახელი ადამიანისა და როგორ... ...რია“, ჩვენც გავიმეორებთ ბ-ნ ქრელაშვილის სიტყვებს.

ეგრეც არის მუდამ. ყველაფერი საიდუმლო და დაფარული, ადრე იქნება თუ გვიან, გამომჟღავნდება და ყოველი ადამიანი თავის საქმეთაებრ დაფასდება და ისტორიის დანიშნულებაც სწორეთ ამ სიმართლის აღდგენაში მდგომარეობს. და თუ კაცობრიობა წინ მიდის მხოლოდ იმიტომ, რომ ცოდნა, შეგნება ემატება, საღი შეხედულება უმუშავდება, ყველა საგანს თავის სახელს უწოდებს. თუ ადრე ჩვენში იტყოდენ: ინდოეთში ვირი ხეზე გადისო და ბევრს სჯეროდა, ეხლა ყველა გეტყვისთ—აი ხე და ესეც ვირი—აქაც გავიდესო.

ნ. ცერცვაძე.

# პროვინცია

**ჭიათურა.** აქ არსებობს შემდეგი განმანათლებელ-კულტურული დაწესებულებანი: ა) სახალხო უნივერსიტეტი, ბ) დრამატიული საზოგადოება და გ) წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების განყოფილება. არსებობს აგრეთვე კოოპერატიული დუქანი. ყველა ეს საზოგადოებანი სულს ღაფავენ, ძლივს ბოგინობენ. ყველა დაწესებულებებში თითქმის ერთი და იგივე პირები არიან წევრებათ და საქმის გამძღოლათ და რა გასაკვირია, რომ ასეთ მდგომარეობაში საქმე არგად ვერ მიდიოდეს და სავსებით ვ[...]რ აღწევდეს დანიშნულ მიზანს. როცა [...]აქმის მდგომარეობა ასეთია, კიდევ [...]ომელიმე საზ. დაარსება თუნდაც კულტურულ-განმათ. ზედმეტია, მარა საქმე იმაშია, რომ ერთ ინტელიგენციის „სფერებში“ ასე თუ ისე გაცნობილ პირის ინიციატივით აქ არსდება გასართობი კლუბი. პირველი კრება მოახდინეს შვიდ მარტს. კრებას დაესწრო 35-მდე კაცი. პირველ სიტყვის თანავე ინიციატორი, თუ მისი სულით და გულით მომხრენი იმას ამტკიცებდენ, რომ კლუბს კულტ.-განმანათ. მიზანი ექნება, ერთმა-

---

და ჩვენ გვიმტკიცებდა, რომ ჩვენი მსაჯულები უპარტიონი და პარტიებს მაღლა მდგომნი არიან; რომ ის როლი, რომელიც ჩვენს მსაჯულებს აქვთ დაკისრებული, იმაში მდგომარეობს, რომ მიუდგომლათ შეასრულონ თავიანთი მოვალეობა. მაგრამ მე თქვენ გეკითხებით ბ.ბ., განა ეს სიტყვები საქმის ნამდვილ მდგომარეობას შეესაბამება? განა იმ პირებს გარდა, რომელთაც ისე მაგრათ სძინავთ, რომ ძილშიაც ვერაფერს ამჩნევენ, ყველასათვის აშკარა არ არის, რომ ჩვენს სასამართლოში ამ ჟამათ გაბატონებულია სასტიკი, ნამდვილი სამხედრო დისციპლინა, რომ ყველაფერი გენერალ-პროკურორის ჩვენებით ხდება, რომლის დანიშნულება იმაში მდგომარეობს, რომ პირდაპირ და შეურყევლათ გაატაროს შინაგან საქმეთა სამინისტროს და პოლიციის დეპარტამენტის დირექტივები. ხალხთან ბრძოლის იდეების საუკეთესო განმახორციელებელია დღეს სენატის განსაკუთრებული საკრებულო (особое присутствіе Сената) და სამოსამართლო პალატები. ჩაუკვირდით ურიცხვ პოლიტიკურ პროცესებს, გადასინჯეთ მრავალ-რიცხოვანი საბრალმდებლო განაჩენები და სთქვით: განა იქ აჩრდილი მაინც არის მართლ-მსაჯულებისა? განა თქვენ ვერ ხედავთ, რომ ბ.ბ. მსაჯულნი, რომელნიც სამოსამართლო პალატების წევრებათ არიან მოვლინებულნი, და სენატორები, რომელნიც იმავე დროს უკიდურეს მემარჯვენეთა პარტიების და ჰეშმ რუს. კავშირის ობიექტებათ გამხდარან, ათეულებით და ასეულებით აგზავნიან კატორღაში ხალხს და ისტუმრებენ ციხეებში მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ბრალდებულებში ხედავენ თავიანთ პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს, სხვა სოციალური წრეებიდან და სხვა კლასებიდან წარმოშობილებს? და რაც ყველაზე მეტათ აღმაშფოთებელია, ეს ის, რომ ეს გასამართლება, ადმინისტრატიული გამკლავება დამარცხებულ მტერებთან, ხდება მალულათ, დახურულ კარებში. ადამიანებს ბრალს სდებენ უმძიმეს დანაშაულობაში და იმავე დროს ბრალდებულს უფლებას არ აძლევენ ისარგებლოს თავისი უკანასკნელი სიტყვით და ხმა მაღლა, საქვეყნოთ გამოსთქვას თავისი დამოკიდებულება მისდამი მიწერილ ბრალდების შესახებ. ამ გვარათ, ჩვენ იმ დასკვნამდი მივდივართ, რომ არ არსებობს დამოუკიდებლობა სასამართლოსი, არ არიან დამოუკიდებელნი მსაჯულნი, არ არის ღია სასამართლოს კარები. დამცველის სიტყვის თავისუფლება? მოიგონეთ, ბ.ბ., ფაქტი გილერსონის გასამართლებისა იმ სიტყვის გამო, რომელიც მან ბრალდებულის დაცვის დროს წარმოსთქვა. (მღვდელი ვერასკინი ადგილიდან: ის ჩამოსახრჩობი იყო. თავმჯდომარე ზარს აწკარუნებს). მოიგონეთ ფაქტი აგრეთვე პეტერბურგის ვექილების პასუხისგებაში მიცემისა და ბოლოს მოიგონეთ ისიც, რომ იუსტიციის მინისტრმა, თავისი პოლიტიკური მოწინააღმდეგის თავიდან მოსაცილებლათ, სამოსამართლო აპარატიც კი თავის მორჩილ იარაღათ გადააქცია და თავის მიზნის განსახორციელებლათ გამოიყენა. მინისტრის მოწინააღმდეგე გახლდათ პერგამენტი. მოსახვევში, ზურგიდან მოპარულათ დაჰკრეს და პერგამენტმაც სული განუტევა (მარცხნით ტაშის ცემა), მაგრამ საზოგადოებრივმა სინდისმა ნაფიც მსაჯუთა სახით ახირებული პასუხი გასცა ამ ულირს ცდას შეერიათ მართლ-მსაჯულების დანიშნულება პოლიციის და პირადი შურის ძიების დანიშნულებასთან (მარცხნით ტაშის ცემა), და მთელი ეს გალაშქრება ნაფიც ვექილთა კორპორაციის წინააღმდეგ.. (ნოვიცკი 2, ადგილიდან: გეგეჭკორს სრულებითაც არ უნდა დაეწყო ამაზე ლაპარაკი). სწორეთ გეგეჭკორს უნდა ამოეღო ამის შესახებ ხმა, რადგან...

**თავმჯდ.** უმორჩილესათ გთხოვთ ადგილებიდან შენიშვნას ნუ იძლევით. თქვენ კი, (მიმართავს ორატორს) უმორჩილესათ გთხოვთ შენიშვნებზე პასუხს ნუ მისცემთ.

**გეგეჭკორი.** მთელი ის გალაშქრება ნაფიც ვექილთა კორპორაციის წინააღმდეგ ფსიხოლოგიურათ ადვილი ასახსნელია, თუ მოვიგონებთ, რომ სწორეთ ეს ნაფიცი ვექილები არიან ცოცხალი, შეუბრალებელი მხილებელნი უწმინდური სინდისის ადამიანებისთვის, რომ სწორეთ ნაფიც ვექილთა წინაშე ხდება ყველა ის უკანონობა და უფლების შელახვა, რომელსაც ადგილი აქვს იუსტიციის სამინისტროს უწყებაში. რაც შეეხება იმას, თუ რა მდგომარეობაშია დღეს მოწმეების დაკითხვის თავისუფლება, ამის შესახებ ჩვენ ამას წინათაც გვქონდა ლაპარაკი. მე მაშინ მოგახსენეთ, რომ ე. წ. „ნოვოროსიის რესპუბლიკის“ საქმის შესახებ ორი მოწამე, მომრიგებელი მსაჯულები პალჩიკოვი და ოვჩარენკო, ნოვოჩერკასის სამოსამართლო პალატის უფროსმა, თავმჯდომარემ, სენატორმა ხლოდოვსკიმ დაიბარა და მკაცრი მამობრივი დარიგების შემდეგ, მხოლოდ იმიტომ, რომ მათ სიმართლე აჩვენეს სასამართლოში ბრალდებულთა სასარგებლოთ, ორი გადაყვანილ იქნენ წინანდელი ადგილებიდან ჯამაგირების შემცირებით (ხმა მარჯვნიდან: ეგ ხომ ერთხელაც სთქვით.) დიახ, მე ისიც კი ვსთქვი, რომ სასამართლოს გამომძიებელი პოლიციის ურიადნიკს კვაშნინს აიძულებდა მოეგონებია ის, რაც ბრალდებულთა სასარგებლო იყო, და ამ შემთხვევაში იუსტიციის სამინისტროსათვის სამარცხვინო. უნდა აღინიშნოს, რომ სამხედრო სასამართლო, რომელშიაც ამ პროცესმა, ისე, როგორც სხვა პროცესებმაც, სასტიკ სამხედრო დისციპლინის ატმოსფერაში გაიარა, იუსტიციის სამინისტოს სამოსამართლო დაწესებულებებზე მაღლა მდგომი აღმოჩნდა და მას არ შეეძლო შესაფერი დადგენილება არ გამოეტანა სენატორ ხლოდოვსკის და სასამართლოს გამომძიებლის ლიჟინის უკანონო მოქმედებასა და სამსახურის დროს ბოროტ-მოქმედების ჩადენის შესახებ.

მე თქვენ გეკითხებით: ეს პირები და გენერალ-პროკურორი მისცეს პასუხისგებაში? სრულებითაც არა. პირიქით, სასამართლოს გამომძიებელმა ლიჟინმა უმაღლესი თანამდებობა მიიღო და სრული „კარტ-ბლანშ“ თავისი მოქმედებისათვის. განა თვით სენატიც, ის ორგანო, რომელიც, იუსტ. მინისტრის განმარტებით, კანონის დამცველია, განა ეს სენატი მთელ რიგ შემთხვევებში არ არღვევდა კანონს, როდესაც აქვეყნებდა ისეთ გადაწყვეტილებებს და ისეთ დადგენილებებს უმაღლესი მთავრობისას, რომელიც რუსეთის ძირითად კანონებს ეწინააღმდეგება? ბ. ბ. სახ. დუმის წევრებო, მე თქვენ მოგაგონებთ იმ კანონს, რომლის მეოხებითაც თქვენ მესამე დუმის უმრავლესობას წარმოადგენთ, დასასრულ, მოგაგონებთ ეგ. წოდ. 24 აგვისტოს წესებს ძირიდადი კანონების მე-96 მუხლის გამოყენების შესახებ. სენატი, როგორც ეს მისი მოქმედებიდან სჩანს, სრულებით დაემორჩილა გენერალ-პროკურორის და შინაგან საქმეთა სამინისტროს გავლენას. საქმე ისეთ კურიოზებამდი მივიდა, რომელთა შესახებ ამას წინათ გაზეთებში სწერდენ, სენატი ამ ჟამათ სრულებით ვერ ერკვევა მაში, რასაც ადმინისტრატიული მთავრობა ხელში მიაჩეჩებს. ის მხოლოდ ბეჭედს ასვამს, უბრალოთ ხელს აწერს, როგორც ეს ამას წინათ კომისარ ფედოროვის საქმის შესახებ მოხდა, რომელიც სასამართლოს წესით პასუხის გებაში უნდა მიეცათ. ამ საქმის შესახებ სენატმა დაადგინა: „რადგან ჩვენს განკარგულებაში გამომძიებელის მიერ შეგროვილი მასალა არ გვქონდა“. განა ეს გათახსირება არ არის, ბ.ბ.? ამის შემდეგ ჩვენთან მოდიან სამინისტროს წარმომადგენელნი და გვარწმუნებენ, რომ რუსეთში არსებობს მიუდგომელი სასამართლო, რომ ჩვენ გვაქვს სენატი, რომელიც წარმომადგენელია კანონის, რომელიც დამცველია კანონის და კანონიერების. (ხმა მარჯვნიდან: მართალია). და აი, ვაკეთებთ რა დასკვნას იქიდან, რაც აქ გვითხრეს, ჩვენ ვხედავთ, რომ მართლ-მსაჯულების ყველა გარანტიები, ყოველგვარი საფუძველი წესიერათ საქმის წარმოებისა სასამართლოებში მოსპობილია. არ არსებობს დამოუკიდებლობა არც სასამართლოებისა და არც მსაჯულთა; მოსპობილია დამცველთათვის სიტყვის თავისუფლება და მოწმეთა ჩვენების ჩამორთმევის თავისუფლება. ყველა სამოსამართლო დაწესებულებანი ამ ჟამათ ერთი აზრით, ერთი მისწრაფებით არიან გამსჭვალულნი, სახელდობრ: რომ მოსპონ ხალხის ყოველგვარი მისწრაფება, მოთხოვნილებანი და თვით-ცნობიერებისა ემი ლტოლვილება. ამ მხრით იუსტიციის მინისტრი სრულებით დაემორჩილა შინაგან საქმეთა სამინისტროს და მთელი თავისი უწყება პოლიციის განკარგულებაში გადასცა. (მარცხნიდან: მართალია.) ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ და კიდევაც გამოვარკვიეთ ჩვენი დამოკიდებულება შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიტიკისადმი. მთავრობას, რომელიც მხოლოდ სისტემატიურ ბრძოლას ეწევა ხალხის წინააღმდეგ, მთავრობას, რომელიც სახრჩობელებს სდგამს და დახოცილთა გვამებზე აშენებს თავის კეთილ-დღეობას, —ასეთ მთავრობას ჩვენ ფულს ვერ მივსცემთ. ასეთი იყო ჩვენი დამოკიდებულება შინაგან საქმეთა სამინისტროსადმი. ამ ჟამათ ჩვენ ლოღიკურათ იმ დასკვნამდი მივდივართ, რომ იუსტ. სამინისტროს პოლიტიკასა და შინაგ. საქ. სამინისტროს პოლიტიკას შორის სრული პრინციპიალური პოლიტიკური სოლიდარობა არსებობს. ამ ორ სამინისტროს შორის არა თუ არ შეიძლება რაიმე განსხვავების გატარება, არამედ—პირიქით, უბრალო წვრილმანებშიაც კი ისინი ერთ სულს და ერთ ხორცს წარმოადგენენ. ჩვენ ვეუბნებით იუსტიციის სამინისტროს:

ხალხის ინტერესებისათვის, სამართლიანობის ინტერესებისათვის და იმ კლასის ინტერესებისათვის, რომლის წარმომადგენელნი ჩვენა ვართ, —მომაკვდინებელი დანაშაულობა იქნებოდა თქვენი ბიუჯეტის დამტკიცება და ფულის მოცემა. ამ დანაშაულობას ჩვენ არ ჩავიდენთ, და აი, ჩვენ მოვუწოდებთ ყველა დემოკრატიულ ელემენტებს, რომელნიც ამ დაწესებულებაში სხედან, ჩვენ შემოგვიერთდენ და უარი უთხრან იუსტიციის სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცებაზე (მარცხნით ტაშისცემა).

ნეთს გავეცნობით, შევკავშირდებითო და სხვა ასეთი; შემდეგ კი ფალცეტით ნათქვამს „სურდინკით" უმატებდენ: შეგვეძლება აგრეთვე კარტის, ლოტოს და ნარდის თამაშიც. კლუბისტებს ნიღაბი უცებ ჩამოხადეს. დაუმტკიცეს, რომ თუ კულტ. განმან. მიზნები გაქვთ, სხვა საზოგადოებებში იშრომეთ, რათ აარსებთ კიდევ ერთ საზოგადოებას, რათ ვიქსაქსებითო. მოგეხსენებათ, რომ სადაც სულსა და გულს ბატონობა მოუპოვებია, იქ ლოღიკას ადგილი არა აქვს, იქ ყოველგვარი საღი მოსაზრება განდევნილია. თუმცა ნათლათ დაუმტკიცეს პრაქტიკიდან, რომ კულ. განმ. მიზნებზე ლაპარაკი მხოლოთ ნიღაბია, მით უმეტეს აქ, დაუმტკიცეს, რომ ეს კლუბი მხოლოთ და მხოლოთ კარტის სათამაშო დაწესებულებაა ნამდვილათ, მარა ურა-უმრავლესობამ, მაინც სურვილი განაცხადა კლუბის დაარსებისა და კიდეც ჩაეწერა 21 კაცი. აირჩიეს აგრეთვე წესდების შესამუშავებლათ კომისია, დაავალეს აგრეთვე რამდენიმე პირს წევრების შეკრება და დაიშალენ.

როგორც ყველგან, ჩვენი ინტელიგენციის კრებებზე, ერთ საგულისხმო მოვლენასაც ქონდა ადგილი. თუმცა გარდა სამი კაცისა, ყველა ქართველები და მასთან უმეტესობა საქართველოს ბურჯათ თავისი თავის მაღიარებელია, მარა ლაპარაკი მაინც რუსულათ დაიწყო, კარგა ხანსაც გაგრძელდა. როცა ერთმა პირმა ქართულათ ლაპარაკი დაიწყო, თუმცა პირველათ პროტესტი არ განუცხადებიათ, მარა შემდეგ ეტიკეტი „დარღვეულათ" იქნა მიჩნეული და ლაპარაკიც რუსულათ იწყეს. ფაქტი წვრილმანია, მარა საგულისხმო. **დამსწრე.**

---

**ს. მღვიმევი.** (იმერეთი) ს. მღვიმევი მდებარეობს ჭიათურის მახლობლათ, ჩრდილოეთის მხრით, ორ-სამი ვერსის მანძილზე. ამ სოფელში არის შავი ქვის მადნები, მხოლოდ ეს აუარებელი სიმდიდრე ეკუთვნის მემამულეებს—წერეთლებს, ამილახვარს და სხვ. ამ სოფლის გლეხები, სავსებით დამოკიდებული არიან ჭიათურის წარმოებაზე, სადაც დღიურათ მუშაობენ. თუ ჭიათურაში წარმოება არ არის, მაშინ სხვებთან ერთათ, ამ სოფლის მცხოვრებლები დიდ გაჭირვებაში არიან. 1907 წ. დაიწყო საერთო კრიზისი და გასტანა 1909 წლ. ზაფხულამდის, გლეხები აუტანელ მდგომარეობაში ჩაცვივდენ. ადგილები მეტათ მცირეა და ქირნახული ძლიერ ცოტა მოდის. წელს მაინც ყველა შიმშილობს. ისეთი გლეხი არ იქნება, რომ სიმინდს არ ყიდულობდეს. სიმინდი ფუთი 1 მან. 20 კაპ.—1 მან. 40-კამდე ფასობს გადასახადები აუარებელი აწევთ ამის მიზეზია, რომ აქ არავითარი კულტურული დაწესებულება არ არსებობს ამოდენა სოფელში ერთი პირველდაწყებითი სასწავლებელი არ არის. გახდება გლეხის შვილი 6—7 წლის თუ არა მიჰყავთ შავ ქვაზე სამუშავოთ პირველად „ჩეკზე" და შემდეგ ხდება პროფესიონალური მაღაროს მუშათ. ეს არის ამათი სწავლა განათლება. ნუ თუ ერთი ისეთი გულშემატკივარი არ გამოჩნდება ვინმე, რომ აუხსნას ხალხს სწავლის აუცილებლობა და ერთი პირველ დაწყებითი სკოლა მაინც დააარსებიოს. საჭირო კია, რომ ვინმე ითავებდეს. **მოგელი.**

---

**ბორჯომი.** ამ ბოლო ხანში ბორჯომმა თითქო გიგანტიური ნაბიჯი გადასდგა წინ: დაარსდა საქველმოქმედო საზოგადოება, ქალთა კომიტეტი, განზრახვა, წ. კ. გ. ს. განყოფილების დაარსების. შესდგა სცენის მოყვარეთა წრე, გამართეს წარმოდგენები და სხ. ამ მოვლენათაგან, უფრო ყურადღებას იპყრობს წ. კ. გ. ს. განყოფილების გახსნა და ბიბლიოთეკის დაარსება, აგრეთვე იაფფასიანი წარმოდგენების მართვა. საყურადღებოა, რომ ქართულმა წარმოდგენებმა საზოგადოების ყურადღება დაიმსახურეს. ქართულ წარმოდგენებს ყველა ეროვნების ხალხი ესწრებოდა. პირველი ქართული წარმოდგენა, ისტორიული პიესა „ქართველი დედა", რომელიც იყო გამართული 14 თებერვალს, საერთოთ სუსტათ ჩაატარეს. მეორე ქართული წარმოდგენა „ხელოვნება თუ კაკარდა" ვოდევილი „ჭკუისა მჭირს", რომელიც იყო გამართული 26 თებერვალს, საერთოთ კარგათ ჩატარდა. ყველა სცენის მოყვარეებს ეტყობდათ, რომ არ დაეზოგათ ძალღონე. ამ დღესაც მიუხედავათ ავი და ცივი ამინდისა (წარმოდგენები იმართება აქ საზაფხულო თეატრში). უკანასკნელმა წარმოდგენამ დამსწრე საზოგადოებაზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა. მუშები ამ წარმოდგენას ნაკლებათ დაესწრენ, რადგანაც გამოცხადებული იყო წარმოდგენა 27 გამართებაო და 26 კი გამართეს. იმედია სცენის მოყვარეები იმავე ენერგიით განაგრძობენ მუშაობას და კიდევ გამართავენ წარმოდგენებს, მხოლოდ სასურველია თანამედროვე პიესებს დასდგამდენ. მადლობის ღირსია ბორჯომის მამულის გამგე ბ-ნი ვინოგრადოვი, რომელმაც უფასოთ დაუთმო თეატრი ელექტრონის განათებით, როგორც წარმოდგენებისთვის, ისე რეპეტიციებისათვის.

როგორც გადმოგვცეს პირველი წარმოდგენის შემოსავლიდან დარჩენილა 26 მ. ამ ფულიდან სამრევ. სკოლის მოწაფეებისთვის გამოუწერიათ ჟურნალი „ნაკადული" და დანარჩენი ფულით გადაუწყვეტიათ უყიდონ ღარიბებს მოსწავლეებს ტანთსაცმელი. მეორე წარმოდგენიდან დარჩენილა 20 მან. გადაუწყვეტიათ: გამოუწერონ ყვიბისის სკოლას საყმაწვილო ჟურნალი „ნაკადული" და დანარჩენი ფული კი მოხმარდეს სკოლის საჭიროებას.

აგრეთვე, როგორც გავიგეთ, ახლო მომავალში ბ-ნი ნ. ჯომართიძე აპირებს, რუსულ და ქართულ ენაზე წაიკითხოს ლექცია კომეტა გალეიაზე.

— რადგანაც, ცნობილი ყოფილი „წითელი რაზმელი" ნიკოლოზ ტალახაძე, დაიჭირეს სოფ. ყვიბისში და ბერების საუდარში მოიხსნა ჩაყენებული სტრაჟნიკები, სოფლის ყარაულები და მთავრობის მამასახლისი. ამ უკანასკნელს ძალიან ენანებოდა ადგილის დატოვება და გამოთხოვების ნიშნათ, რამდენიმე გლეხს ძალზე სცემა. გლეხებმა ბორჯომის ბოქაულთან უჩივლეს, რომელმაც ადგილობრივ პოლიციაში სამი დღის დაპატიმრებით დასაჯა მამასახლისი. **კლდე.**

---

**სოფ. რუისი (ქართლი).** იანვრის ბოლო რიცხვებში მოხდა მამასახლისის არჩევა. ყოფილი, მთავრობის მამასახლისი თაქთაქიშვილი ბევრს ეცადა, რომ ისევ თვითონ დარჩენილიყო და ამ მიზნით რამდენიმე კაცი კიდევაც მიიმხრო, რომლებიც ხალხში აგიტაციას ეწეოდენ მის სასარგებლოთ. ამითი არ დაკმაყოფილდენ ხსენებული პირნი და გორის მაზრის უფროსაც მიმართეს პირადათ თხოვნით, რომ ძველი მამასახლისი დაეტოვებია, მაგრამ ყოველივე ცდამ უნაყოფოთ ჩაიარათ და ხალხმა ამოირჩია ის, ვინც უნდოდათ, ე. ი. ეფრემ გურასპიშვილი, კაცი ხალხისაგან პატივდამსახურებული.

რომ ვერაფერს გახდენ ზემოხსენებული ვაჟბატონები და საყვლეფო მასალაც შემოელიათ, გამოიგონეს შემდეგი: გამოუცხადეს მცხოვრებლებს, რომ „რადგან მიწის გადასახადი უსწორ-მასწოროთ არის შეწერილი და ბევრის მქონებელი ნაკლებს იხდის და ცოტასი კი ბევრს, ჩვენ ყველა დაფარულ მიწებს აღმოვაჩენთ და გადასახადსაც სწოროთ გავაწერთ ყველასო". ამ არა-მკითხე მოღვაწეობისათვის მოსთხოვეს ხალხს, რომ ყოველ აღმოჩენილ მიწაზე ისინი აიღებენ იმდენს თავის შრომის ფასს, რაც აღმოჩენილ მიწაზე არის კანონით დადებული. დაიწყეს ზომა-თვლა მიწებისა: ვისი მიწაც გაიზომებოდა, მას უსათუოდ ძღვენი უნდა მიერთმია მათთვის. ბოლოს, როდესაც ხალხმა დაინახა, რომ ასეთი ხრიკი მათ მოსატყუებლათ და გასაყვლეფათ იყო მათგან გამოგონილი, და არავითარი დაფარული არა აღმოჩნდა-რა, მაშინ უარჰყო, როგორც ახალი „მზომავი კომისია" აგრეთვე მათი მოღვაწეობაც. **რუისელი გლეხი.**

# მუშათა შორის

**თფილისის რკ. გზ. სად. მუშათა ცხოვრებიდან.** 10 მარტს თფ. სად. მუშათა ამხანაგობის დელეგატების კრებას, რომელიც მოწვეული იყო გამგეობის ინიციატორობით, დაესწრო 48 წევრი. თავმჯდომარის არჩევის შემდეგ მოხსენება წაიკითხა გამგეობის ერთმა წევრმა. როგორც მოხსენებიდან გამოირკვა, გამგეობას, მიუხედავათ იმისა, რომ 25 დღეა, რაც ის აურჩევია ამხანაგობას, დიდი შრომა გაუწევია, რაიც გამოიხატება: ბირჟის კომიტეტთან და სხვა ჯგუფებთან მოლაპარაკებაში, რომლებიც ორგანიზაციულათ შეკავშირებული გამოდიოდენ ამხანაგობის წინაამდეგ. შემდეგ მომხსენებელმა განუმარტა კრებას თუ როგორაა გაუდენილი ატმოსფერა პროვოკაციით, თუ როგორ და რა ტაქტიკით ამხედრებენ გამგეობის წინაამდეგ მასსას თითო-ოროლა დაინტერესებული პირები. დაბოლოს მოსთხოვა კრებას ბრალდებების წინაამდეგ მისი დასაბუთება და მიუდგომლათ გასამართლება. მოხსენების გათავების შემდეგ ჩაეწერა 40 მდე ორატორი. ლაპარაკობს ერთი ბელადთაგანი პროვოკაციული ოპოზიციისა. ესაყვედურა გამგეობას, რომ კრება მოიწვია და „ნამუშავარი ხალხი" დასაჯა. შემდეგ კი წამოაყენა გამგეობის წინაამდეგ შემდეგი ბრალდებები: 1) ვითომც გამგეობის წევრებს სარევიზიო კომისიისთვის, რევიზიის მოხდენის დროს წიგნები არ მიეცეთ; 2) გამგეობაში შედის 9 წევრი, როდესაც არჩევნები მოხდა გამგეობის, მაშინ კრებამ დაადგინა, რომ ორ მათგანს უნდა ემუშავა გარეშე გამგეობისა. ასე, ვინაიდან გამგეობაში 9 კაცი შედის და მას ამდენი სამუშაო აქვს, ორ მათგანს შეეძლო, რომ სხვა სამუშავარზე გამოსულიყო და 3) რომ ვითომც გამგეობის ერთი წევრს ორი მუშისთვის, როგორც ფიზიკურათ, ისე სიტყვიერათაც შეურაცხყოფა მიეყენებიოს. შემდეგ ილაპარაკა ბელადმა. ი. მ—ემ. მას ახალი არაფერი უთქვამს, მხოლოდ პირველი ორატორის ნალაპარაკევი განიმეორა და კრებას თავის თავი გააცნო ზნეობრივათ სპეტაკ ადამიანათ; მესამე ორატორი სხვებზე უფრო ტაქტიკურათ მოიქცა, თუმცა ახალი ბევრი არც იმას არაფერი უთქვამს გარდა იმისა, რომ დღიურ მომუშავეთაგან რომელნიც ეს ორი კვირაა „გაშტატდენ", არც ერთი კურტანში არ მუშაობსო. გამოირკვა, რომ ეს ტყუილია. ახალ მიღებულებიდან ოთხი ყარაულებათ ყოფილა, ერთი კასირათ და თექვსმეტი კი კურტანში მუშაობს.. მაგრამ შეეძლო კრება ამის განხილვაში?! ნაცვლად იმისა, რომ კრიტიკა გაეკეთებია ვინმეს, ის იტყოდა თუ არა სიტყვას, მასსას შეეკითხებოდა: მართალია ამხანაგებო, თუ არაო? მასსა კი ერთხმათ ამოსძახებდა: მართალია, მართალიაო.

ილაპარაკეს სხვებმაც მაგრამ ყველა ორატორების სიტყვების აქ მოყვანაზე მეტი იქნება. აღვნიშნავ მხოლოდ იმას, რომ ორმოც ჩაწერილ ორატორებში ილაპარაკა მარტო ათმა თუ თორმეტმა. მათ შორის კრიტიკულათ შეეხო კითხვას მხოლოდ ორი ორატორი. პირველმა გაატარა თავის სიტყვაში ის მოსაზრება, რომ გამგეობის წინაამდეგ პროვოკაციას ახდენს თითო-ოროლა პიროვნება. რაც შეეხება ბრალდებებს, ვინაიდან მოწინაამდეგეებმა საკმარისი ფაქტები ვერ წარმოადგინეს იმის დასამტკიცებლათ, ეს აშკარა ცილისწამებაა. ამაზე ასტყდა ერთი აურ-ზაური რეაქციონური ოპოზიცია თავის ბელადებით ახმაურდა. ფაქტები რადა საჭიროა, როდესაც სიმართლე ხელში გვიჭირავსო. ვინაიდან თავმჯდომარემ კრება ვერ დაამშვიდა, მან წინადადება მისცა „ოპოზიციის" ბელადს ი. მ—ეს, რომ ეცადა „ოპოზიციონერების" დამშვიდება. იმანაც დაამშვიდა თავისი ამხანაგები. ამით საშუალება მიეცა თავმჯდომარეს, რომ სიტყვა ეთქვა, მაგრამ ვინაიდან მისი სიტყვა არ იყო მიმართული გამგეობის წინაამდეგ, ოპოზიციონერები შეეცადენ აბსტრუქციის მოხდენას, და მოახდინეს კიდევაც. ორატორი აღარ ალაპარაკეს აგრეთვე არამც თუ გამგეობის წევრები, არამედ—არც ერთი იმ ორატორთაგანი, რომლებსაც შეეძლოთ უფრო ღრმათ შეხებოდენ კითხვას. ასე რომ თავმჯდომარე იძულებული გახდა კრება დაეხურა. საზოგადოთ უნდა აღვნიშნოთ, რომ პროვოკაციას ნიადაგი ქონებია სადგურის მუშებში. სარგებლობენ რა ზოგიერთები ვითომდა მუშათა ინტერესების დამცველები მასსის შეუგნებლობით, თვალს უხვევენ მასას, ამხედრებენ მას ზოგიერთი შეგნებულების წინაამდეგ; რაც დაგვიმტკიცა ათი მარტის კრებამ და ამნაირათ უფსკრულისაკენ ერეკებიან მასსას.

სასურველია რომ მასსა გონს მოვიდეს, გაიგოს ვინ არის მისი მტერი და მოყვარე და ყოველივე მოვლენას სათანადო ანგარიში გაუწიოს. **ბოხოროკო.**

## რედაქციისაგან.

აქვე ვბეჭდავთ ბ. ბ. პ. გელეიშვილის, ს. გრიაზნოვის და ა. მამულაიშვილის წერილს.

წერილის ავტორები ამბობენ: 1) ვითომც რედაქცია, იკა და ნ. ცერცვაძე შეცდომაში შეეყვანოს თფილისის ჟურნალისტთა საზოგადოების 28 თებერვლის კრების ანგარიშის შემდგენელს; 2) ბ. ნ. ელიავას არ უთქვამს იმ კრებაზე ის სიტყვები, რომლებიც ანგარიშშია მოყვანილი; 3) მან ქალაქის გამგეობა არ გამოუცხადებია დემოკრატიულათ და—4) რომ მან სთქვა მხოლოდ შემდეგი: „თფილისის ქალაქის გამგეობა საბჭოსთან შედარებით უფრო დემოკრატიულია და **ხშირათ ის ოპოზიციასაც კი ეხმარებაო**" (ხაზი ჩვენია).

რედაქცია კატეგორიულათ აცხადებს, რომ აღნიშნულ ანგარიშში ნ. ელიავას სიტყვები სისწორით არის მოყვანილი. და რომ, ზემოთ მოყვანილი ხაზ-გასმული სიტყვები ნ. ელიავას სულ არ უთქვამს. და რომ ეს ასეა, ამას ამტკიცებს სხვათა შორის წერილიზე ერთი ხელმომწერთაგანი, სახელდობრ, ა. მამულაიშვილი, რომელმაც ჩვენს შეკითხვაზე ხაზ გასმული წინადადების შესახებ განაცხადა: ხაზ-გასმული სიტყვები არც მემახსოვს, მარა ასეთი დასკვნის გამოტანა შეიძლებოდაო.

ნ. ელიავამ სთქვა: 1) „ნამდვილათ რომ ვსთქვათ, საბჭოში არც კი არსებობს ოპოზიცია"; 2) გამგეობა საბჭოსთან შედარებით უფრო დემოკრატიულია; 3) „დღეს დღეობით გამგეობა, რამდენათაც კი შესაძლებელია, დემოკრატიულ ნიადაგზე სდგას".

თავის აზრის დასამტკიცებლათ ბ. ელიავამ, იქვე რამდენიმე მაგალითიც მოიყვანა: 1) გამგეობას მუშათა და ტრამვაის დირექციის შორის გამწვავებულ დამოკიდებულებაში მშვიდობიანობა შექონდა, вносила миръ. 2) გამგეობას შეეძლო ქალაქის განათება მოიჯარადრისათვის გადაეცა და 15,000 მან. ქალაქის კასისთვის შეემატებინა, მაგრამ განათება მან თვით იკისრა, რადგანაც მოიჯარადრე მუშებს შეავიწროებდა: არც ტანისამოს მისცემდა, არც ბინას და არც ჟურნალ-გაზეთებს.

ჩვენ მართლაც მივაქციეთ დიდი ყურადღება ნ. ელიავას ამ სიტყვას, და ეს სულ ადვილი გასაგები და ასახსნელია. ასეთი სიტყვა რომ სხვა რომელიმე ხმოსანს ეთქვა, ჩვენ, რასაკვირველია, არ გაგვიკვირდებოდა, მარა ნ. ელიავა არჩეულია ხმოსნათ თფილისის დემოკრატიულ ნაწილისაგან, და როდესაც ეს ნაწილი მოისმენდა ან წაიკითხავდა ნ. ელიავას, როგორც ხმოსნის, სიტყვას, ის განცვიფრდებოდა, და სხვადასხვა ილიუზიები დაებადებოდა ქალაქის გამგეობის შესახებ. ჩვენ მოვალეთ ვრაცხდით თავს გაგვეფანტა ეს მოსალოდნელი ილიუზიები გამგეობის შესახებ და აღგვენიშნა, რომ ნ. ელიავას სიტყვები სიმართლეს ეწინააღმდეგებოდა. ეს სიტყვა რომ საჯარო კრებაზე არ ყოფილიყო თქმული, მაშინ არც გაზეთის საშუალებით იქნებოდა საჭირო მისი გარჩევა, მაგრამ რაკი საჯაროთ იყო თქმული, ჩვენც მოვალე ვიყავით საჯაროთვე გაგვერჩია ის.

## წერილი „ახალი სხივის" რედაქციას.

ამ ბოლო დროს „ახალ სხივ"-ში ერთობ დიდ ყურადღებას აქცევენ ნიკო ელიავას სიტყვას, რომელიც მან წარმოსთქვა თფილისის ჟურნალისტების კრებაზე 28 თებერვალს და, რომელშიაც მან დაახასიათა როგორც ქალაქის საბჭო, ისე გამგეობა და საბჭოს ოპოზიცია.

გარდა ჩვეულებრივი კრების ანგარიშისა, რომელშიაც მოყვანილი იყო ნ. ელიავას სიტყვა, რედაქციამ საჭიროთ დაინახა იმისთვის ეძღვნა ერთი წერილი ბ-ნ „იკასი", ერთი მოწინავე წერილი და ერთიც ბ-ნ ნ. ცერცვაძისა.

როგორც გაზეთის მოწინავეს ავტორი, ისე დასახელებული წერილების ავტორები ბრალსა სდებენ ნ. ელიავას იმაში, რომ ვითომც მას თფილისის ქალაქის გამგეობა დემოკრატიულ გამგეობათ გამოეცხადებინოს.

ჩვენ, როგორც დამსწრენი იმ კრებაზე, რომელზედაც წარმოთქმული იყო ნ. ელიავას სიტყვა, საჭიროთ ვრაცხთ გამოვაცხადოთ, რომ ეს სიტყვა გაზეთის ანგარიშში არ იყო სისწორით მოყვანილი, რამაც, ჩვენის აზრით, შეცდომაში შეიყვანა როგორც რედაქცია, ისე დასახელებულ წერილთა ავტორებიც და საბუთი მისცა მათ ამ დამახინჯებულათ მოყვანილ სიტყვებზე აეგოთ თავისი ბრალდება ნ. ელიავას წინაამდეგ.

აქ ჩვენ არ შევუდგებით ნ. ელიავას სიტყვის სავსებით მოყვანას, მაგრამ საჭიროთ მიგვაჩნია აღვნიშნოთ ის ადგილი ამ სიტყვისა, რომელმაც ასეთი ბრალდება გამოიწვია მის წინაამდეგ.

დაახასიათა რა უარყოფითი მხარეები როგორც ქალაქის საბჭოსი, ისე გამგეობისა, ნ. ელიავამ სთქვა: ...„თფილისის ქალაქის გამგეობა საბჭოსთან შედარებით უფრო დემოკრატიულია და ხშირათ ის ოპოზიციასაც კი ეხმარებაო".

ეს სიტყვები ნ. ელიავასი, როგორც მთელი მისი სიტყვა, ჩვენ მიგვაჩნია შედარებითი დახასიათებათ ქალაქის გამგეობის დემოკრატობისა (საბჭოსთან შედარებით) და არა გამგეობისათვის დემოკრატობის ატესტატის მიცემათ, როგორც ამას ნ. ელიავას აწერენ. საგნის საზოგადოებრივი მნიშვნელობა გვაიძულებს აქვე ვაღიაროთ, რომ ამ საგანზე ატეხილი მითქმა-მოთქმა ჩვენ მიგვაჩნია უბრალო შეცდომის ნაყოფათ.

**პეტრე გელეიშვილი, სიმონ გრიაზნოვი, არსენ მამულაიშვილი.**

## წერილი რედაქციის მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! გაზეთ „მომავალი"-ს მე-91 ნომერში მოთავსებული იყო კორესპონდენცია მოსკოვიდან, სადაც ავტორი აღნიშნავდა იმ აუტანელ პირობებს, [illegible]

რედაქტორ-გამომც. [illegible]


# განცხადება

ქუთაისში

[illegible]

თესლეულობის მაღაზიაში

[illegible]

(25—7)

ქ. ბათუმში

აბრეშუმისა და ჭურჭლეულობის

მაღაზია

პ. ა. მაჭარაძის და პ. ა. ჭეიშვილისა

დონდუკოვ-კორსაკოვის ქუჩა 21.

[illegible] დიდის არჩევით [illegible]

(0—6)